კინოკრიტიკის ქალური სახე

ლუდმილა საენკოვა-მელნიცკაია

საკვანძო სიტყვები: *კინოკრიტიკა, კრიტიკა, კრიტიკოსი, კინოხელოვნება, მაია ტუროვსკაია, ანალიზის ახალი სისტემა*

კინოკრიტიკას ყოველთვის მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა კინოხელოვნების განვითარებაზე. კინოკრიტიკა, რომელიც თავად კინოსთან ერთად აღმოცენდა, იქცა ინტერპრეტაციის ფორმად, რომელიც, ერთი მხრივ, ამცირებს დისტანციას აუდიტორიასა და გართობის ამ ახალ ჟანრს შორის და, მეორე მხრივ, ამდიდრებს კინემატოგრაფიულ პრაქტიკას ახალი იდეებით და მნიშვნელობით, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჟურნალისტიკის კულტურული სტატუსის განვითარებასა და განმტკიცებაზე. კინოკრიტიკა არსებითია როგორც კინემატოგრაფიული ნამუშევრების მნიშვნელობის გაშიფვრის, ისე ინტერპრეტირების თვალსაზრისით, ასევე კინემატოგრაფიაში მიმდინარე მოვლენების გაცნობიერების კუთხით. კინოკრიტიკა, თავისი არსით, შეიძლება ჩაითვალოს, ბროუნის მოძრაობის მსგავსად, მუდმივად მზარდ კინემატოგრაფში ლოგიკური და ესთეტიკური წესრიგის ძიების ინსტრუმენტად. ყველა ქვეყანას ჰყავს საკუთარი კრიტიკოსები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული კინოხელოვნების განვითარებაში. მიუხედავად ამ პროფესიის „მასკულინური“ ხასიათისა, ქალებსაც მიუძღვით წვლილი მის ინტელექტუალურ და მხატვრულ პოტენციალში.

მაია ტუროვსკაია იყო კინოკრიტიკის ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პროფესიონალი - კრიტიკოსი, რომელმაც კინოს ახალი კონტინენტები აღმოჩინა მათთვის, ვინც თითქოს ყველაფერი იცოდა მის შესახებ. ბევრი კინოხელოვნის აღიარებით, მისმა სტატიებმა ახლებურად დაანახეს მათ ანტონიონი, ბრეხტი თუ ჩეხოვი. მისი კვლევები კინოკრიტიკაში ყოველთვის გულისხმობდა ახლის აღმოჩენას და, იმავდროულად, მომაჯადოებელ თხრობას არაკანონიკური ჟანრების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს ის პერიოდია, როცა ამ თემებზე ლაპარაკიც კი მიუღებელი იყო - როცა ცნებებს: „მასობრივი კულტურა“, „კომერციული წარმატება“ და „სენსაცია“ ზევიდან უყურებდნენ, ხოლო ჯეიმზ ბონდი, მერილინ მონროუ და ბრიჟიტ ბარდო ასოცირებულნი იყვნენ თითქმის აკრძალულთან.[1] მისი ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თეატრისა და კინოს კვლევებს, ბესტსელერებად იქცნენ: „სერგეი იუტკევიჩი“ (ი. ხანიუტინთან ერთად), „ბაბანოვა. ლეგენდა და ბიოგრაფია“, „უგმირო დროების გმირები“, „დიახ და არა. ბოლო წლების კინოსა და თეატრის შესახებ“, „ხელოვნებათა ზღურბლზე. ბრეხტი და კინო“, „ჩვეულებრივი ფაშიზმი“ (მ. რომთან და ი. ხანიუტინთან ერთად). „7½, ანუ ანდრეი ტარკოვსკის ფილმები“ - ამ წიგნების საყიდლად ხალხი მზად იყო გრძელ რიგებში დგომისთვის. მისი კრიტიკა არასდროს ყოფილა „შეფასებისკენ“, „დამოძღვრისკენ“ თუ „გავლენის მოსაპოვებლად“ გამიზნული. მაია ტუროვსკაია, უბრალოდ, სიღრმისეულად აკვირდებოდა ამა თუ იმ სიტუაციას, ცხოვრებას და კულტურას, ზოგადად, მისი კრიტიკა იქცა ხელოვნების დამოუკიდებელ ინტელექტუალურ და შემოქმედებით დარგად. 1960-იან წლებში ტუროვსკაიამ პირველმა დაიწყო მარშალ მაკლუენის ციტატების გამოყენება რომან პოლანსკის ფილმების კვლევის დროს. იმ პერიოდში ტუროვსკაია, კრიტიკოს იური ხანიუტინთან ერთად, მუშაობდა დოკუმენტური ფილმის, „ჩვეულებრივი ფაშიზმის“ სცენარზე.

ხელოვნების სხვადასხვა დარგის კომბინირება ბევრს არ შეუძლია. ტუროვსკაია კი თანაბარი ნიჭით გამოირჩეოდა როგორც ფილმის, ისე თეატრის კრიტიკაში, სცენარის ხელოვნებაში, ჟურნალისტიკასა და მეცნიერებაში. უფრო მეტიც, იგი გახლდათ პირველაღმომჩენი ყველა ამ სფეროში. სხვათა შორის, სწორედ ტუროვსკაიამ წამოაყენა ა. ტარკოვსკის ფილმების თანმიმდევრული შესწავლის იდეა მაშინ, როცა ამ რეჟისორის სახელიც კი ოფიციალურად იყო მიჩქმალული. ტუროვსკაიამ საფუძველი ჩაუყარა ანალიზის ახალ სისტემას, რომელიც ნაკლებად თემატური და აღწერითია, მაგრამ უფრო ფილოსოფიური და მეტაფიზიკურია, როცა მკვლევარი კონცენტრირებულია

1 Туровская, Герои «безгеройного времени», 1971, с. 65–125.

ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა დრო, სივრცე, რიტმი და პოეტიკა.[2]

ახალ იდეებს, ინტერპრეტაციებსა და მოულოდნელ პერსპექტივებს ვხედავთ არა მხოლოდ მის სამეცნიერო კვლევებში, არამედ მისი კინოსცენარებით შექმნილ დოკუმენტურ ფილმებშიც, რომლებიც დაიწერა როგორც დამოუკიდებლად, ისე მიხაილ რომთან, იური ხანიუტინთან, ანდრეი ხრჟანოვსკისთან ერთად: „ჩვენი თეატრის შესახებ" (ი. ხანიუტინთან ერთად), „პიოტრ მარტინოვიჩი და დიდი ცხოვრების წლები" (ი. ხანიუტინთან ერთად), „მხატვრის უქმნელი ავტოპორტრეტი", „ხელოვანი და დრო. ალექსანდრ ტუშლერი", „სენტიმენტალური გროტესკი, ანუ ებრაული თეატრის არტისტი", „ივან კუზმიჩის შვილები", „ევგენი ონეგინი, მე-10 თავი", „მოსკოვის მხატვრული თეატრი. სიზმრები მხატვრულსა და საყოველთაოზე. სიზმარი 1-ლი", „ცხოვრების თავიდან დაწყება" (ა. ხრჟანოვსკისთან ერთად). ფილმი „ჩვეულებრივი ფაშიზმი" (მ. რომთან და ი. ხანიუტინთან ერთად) იქცა დოკუმენტალისტიკის მიუღწეველ მწვერვალად და ანტისაომარი ფილმების კლასიკად, თუმცა, ამავე დროს, შეუძლებელია ამ ფილმის მიკუთვნება კონკრეტულად „ანტისაომარი" და „ანტიფაშისტური" ფილმების კატეგორიასთან. ფილმი, ამასთან, ანტიტოტალიტარულიც აღმოჩნდა, რადგან მის დოკუმენტურ და სახეობრივ ტექსტურაში ჩაქსოვილი შინაარსი შეიძლება მიესადაგოს არა მხოლოდ ფაშისტურ გერმანიას, არამედ ნებისმიერ ტოტალიტარულ სისტემას.

მაია ტუროვსკაიას ყველა გამოცემა კრიტიკის ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს. მისი კრიტიკული ნაშრომები ღირებულია არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ მხატვრული თვალსაზრისითაც, რასაც განაპირობებს მათი შინაარსის, სახეობრივი გალეერეისა და სტილის სიღრმე. მის ხელში კრიტიკა იქცა ინტელექტუალური ხელოვნების ცალკე დარგად. მაია ტუროვსკაიას კრიტიკის ხელოვნების მრავალრიცხოვან ჟანრებსა და თემებს შორის ყოველთვის დომინირებდა ერთი - თავად ავტორი. ცნობილმა ფილოსოფოსმა, ა. ბიბლერმა პირველმა შემოიტანა კონცეფცია „მსოფლიო პირველად".[3] ბიბლერის თანახმად, კულტურა წარმოადგენს „მსოფლიოს პირველად" შექმნის პროცესს, ანუ მსოფლიოს ახლებურად გადააზრებას, როცა ადამიანები ხელახლა აღმოაჩენენ ჰუმანისტურ ღირებულებებს და მუდმივი ჭეშმარიტებები იბრუნებენ თავიანთ საკრალურ მნიშვნელობას ადამიანის ცნობიერებაში. „მსოფლიოს პირველად შექმნა" ახასიათებს საუკეთესო კრიტიკოსებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, მაია ტუროვსკაიას. მისი პუბლიკაციები პოპულარულ გამოცემებში იმდენად ანალიტიკურია და აღსავსე ავტორის შთაგონებით, რომ ისინი რადიკალურად განსხვავებულია ზოგად საგაზეთო-საინფორმაციო მასალებისგან. მათში მოცემულია არა მხოლოდ პოპულარული გამოცემებისთვის დამახასიათებელი დისკუსიები „დასვენებისა და გართობისთვის", არამედ თავად კულტურის სიღრმისეული ხედვაც. ყველა მისი ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერული თანმიმდევრობის, ჟურნალისტური ორიგინალობისა და ესთეტიკური გააზრების კომბინაციას.

მას ცხოვრებაში ბევრი რამ გადახდა: იყო კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლის პერიოდებიც, მეხუთე პუნქტიც (ეროვნება), 20 წლის იძულებითი უმუშევრობაც და ყველა რედაქციის დახშული კარიც. ყველა ამ სიტუაციიდან ღირსეულად გამოსვლა მოწმობს მის ადამიანურ სიმტკიცეზე, ხოლო ყველა მისი შემოქმედებითი ნაშრომი მეტყველებს მის უდიდეს პროფესიულ მნიშვნელობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Библер В. На гранях логики культуры. Книга избранных очерков. Москва, Русское феноменологическое общество, 1997.
- Туровская М. Герои «безгеройного времени». М., «Искусство», 1971.
- Туровская М. 7½ , или Фильмы Андрея Тарковского. М., «Городец», 1991.
- Туровская М. Памяти текущего мгновения: Очерки, портреты, заметки. М., «Совесткий писатель», 1987.

2 Туровская. Фильмы Андрея Тарковского, 1991, с. 9-20.

3 Библер. На гранях логики культуры, 1997, с. 13.

THE FEMININE FACE OF FILM CRITICISM

Ludmila Sayenkova-Melnitskaya

Keywords: *film criticism, critic, the art of film, Maya Turovskaya, new system of analysis*

Film criticism has always had a serious impact on the development of the art of cinema. Film criticism, which emerged along with cinema, became that form of interpretation, which, on the one hand, reduced the distance between the audience and the new type of entertainment, and on the other hand, enriched the cinematographic practices with new ideas and meanings, while also significantly influencing the development and reinforcement of the cultural status of journalism. Film criticism is vital both for decoding as well as interpreting the meanings of film works and for attributing meaning to what is happening in the cinema. In its essence, film criticism can be considered an important instrument in the search for meaningful and aesthetic order in the ever-accelerating film-brownian motion. Every country has its own critics who contributed greatly into the development of the national art of cinema. Despite the "masculine" character of this profession, women contributed to its intellectual and artistic potential.

Maya Turovskaya was one of the most prominent professionals of the art of film criticism, a critic who revealed and is still revealing cinema continents to those who, as it seemed, knew all about those continents. Many well-known cinematographers confessed that her articles let them see Antonioni, Brecht and Chekhov in a very different way. Her film criticism research always included revelations of something new, and at the same time, there was always a gripping narrative on the non-canonical genres. It is significant that it was all in the times whentalking about such things aloud and in earnest was not acceptable, when "mass culture", "commercial success" and "sensation" were looked down upon, as almost obscene words, and when James Bond, Marilyn Monroe and Brigitte Bardot were associated with something almost forbidden[1]. Her manuscripts on the theatre and cinema studies became best-sellers. "Sergei Jutkevitsch" (together with Yu.Khanutin), "Babanova. Legend and biography", "Heroes of heroless times", "Yes and no. About cinema and theater of the last years", "On the boundary of arts: Brecht and cinema", "Der gewohnliche faschismus" (together with M.Romm and Yu.Khanutin), "7 ½, or the films of Andrey Tarkovskiy" are the books people were ready to line up in queues to receive. Her criticism was never "evaluating", "guiding" or "affecting". She simply meditated on situations, time, life and culture. She is believed to be the first in art criticism whose every publication turned out to be a work of art. Her criticism became a separate intellectual and creative art. She was a pioneer when she started quoting Marshall McLuhan in the 1960-s, researching films by Roman Polanski, when she wrote a script (together with another critic Yuriy Khaniutin) of a unique documentary film "Ordinary Fascism".

Not many people are able to combine different types of art. She was equally talented in film and theatre criticism; in criticism and script writing; in journalism and in science. Moreover, she was a discoverer everywhere. In fact, she suggested a consistent research of A.Tarkovskiy's films, when his name was still officially silenced. She lay foundation to a brand new system of analysis – less thematic and descriptive, and more philosophical and metaphysical, when the researcher is focused on such categories as time, space, rhythm and poetics[2]. New ideas, meanings, unexpected prospects were not only in her scientific research and publications, but also in the documentaries that she wrote scripts for, alone or in cooperation with Mikhail Romm, Yuriy Khaniutin, Andrei Khrzhanovskiy: "... On our theatre" (together with Y.Khaniutin), "Petr Martynovich and the years of the big life" (together with Y.Khaniutin), "Not painted self-portrait of an artist", "An artist and the time. Aleksandr Tyshler", "A Sentimental Grotesque, or the Artists of the Jewish The-

1 Туровская, Герои «безгеройного времени», 1971, с. 65–125.
2 Туровская. Фильмы Андрея Тарковского, 1991, с. 9–20.

atre", "The Children of Ivan Kuzmich", "Yevgeniy Onegin. Chapter X", "Moscow Art Theatre. Dreams about the art and the popular. Dream One", "...Beginning life again..." (together with A.Khrzhanovskiy). The film "Ordinary Fascism" (together with M. Romm and Y.Khaniutin) became an unsurpassed summit of documentary films and the classics of anti-war films. However, this film cannot be limited to the categories of "anti-war" or "anti-fascism" films. It turned out to be anti-totalitarian, because the meanings laid in the documentary and imagery texture of the film could be projected not only onto the fascistic Germany, but also onto any totalitarian system.

Maya Turovskaya is one of the first authors whose every publication was equal to a fact of critical art. Her critical works are not only of scientific, but also of artistic value through their depth of content, imagery and style. In her execution, criticism became a separate type of intellectual art. Among the diversity of genres and topics of the critical art of Maya Turovskaya there was always the chief dominant – the Author. A famous philosopher V.Bibler introduced a concept of "the world for the first time"[3]. According to Bibler, the culture as it is, creation is creating "the world for the first time", i.e. a fresh look at the world when people rediscover human values anew, when famous truths regain their sacred meanings in the consciousness of a man. This creation of "the world for the first time" distinguished the works of the best critics, and Maya Turovskaya was one of them, doubtlessly. Her publications in popular editions were so intensely analytical and on such a high level of author revelations that they were notably distinct against the general newspaper-information context. They were not only the discussion for the "leisure and entertainment" in a popular edition, but also a notable zone of culture per se. Each of her works was a synthesis of scientific consistency, journalistic authorship and aesthetic meaningfulness.

In her fate, there have been all sorts of things – the times of fighting with cosmopolitism, the fifth paragraph (nationality), 20 years of forced unemployment, and tightly closed doors of all editorials. Having emerged from all those situations without rancour is an attestation of human viability, and all her creative work is an attestation of professional significance.

REFERENCES:

- Библер В.С. На гранях логики культуры. Книга избранных очерков. Москва, 1997, 440 с.
- М. Туровская. Герои «безгеройного» времени. Москва, 1971, 239 с.
- М.Туровская. 7 ½ , или Фильмы Андрея Тарковского. Москва, 1991, 253 с.
- М.Туровская. Памяти текущего мгновения: Очерки, портреты, заметки. Москва, 1987, 368 с.

3 Библер. На гранях логики культуры, 1997, с.13